დამტკიცებულია ა(ა)იპ - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
2023 წლის 7 ნოემბრის გამგეობის სხდომაზე

თავმჯდომარე: ნონა ქურდოვანიძე

ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილება
ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2023 წლის 25 ნოემბრის 31-ე საერთო კრების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ

ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდების 8.3. მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად:

მუხლი 1
დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2023 წლის 25 ნოემბრის 31-ე საერთო კრების ჩატარების დებულება (*დანართი*).

მუხლი 2
1. დაევალოს დირექტორატს, ამ გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ასოციაციის წევრებს.
2. ამ გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ასოციაციის ადმინისტრირებად ვებგვერდზე (www.gyla.ge).

მუხლი 3
1. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.
2. ეს გადაწყვეტილება ძალას კარგავს ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2023 წლის 25 ნოემბრის საერთო კრების ჩატარების შემდგომ.

დანართი

ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2023 წლის 25 ნოემბრის 31-ე საერთო კრების ჩატარების დებულება

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს დებულება არეგულირებს ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (შემდგომში - ასოციაცია) 2023 წლის 25 ნოემბრის 31-ე საერთო კრების ჰიბრიდულ რეჟიმში ჩატარების წესს.
2. ეს დებულება არ განსაზღვრავს საერთო კრების დღის წესრიგს და არ შეეხება წესდებით მოწესრიგებულ საკითხებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულების მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საერთო კრების ჩატარების წესი - საერთო კრებისთვის წევრთა რეგისტრაციის, საერთო კრების ჩატარებისა და ხმის მიცემისთვის ელექტრონული პლატფორმის განსაზღვრის, დღის წესრიგისა და ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების, წესრიგის დაცვის, საერთო კრების ჩაწერისა და ოქმის შედგენის წესი;

ბ) თავმჯდომარე - ასოციაციის თავმჯდომარე;

გ) გამგეობა - ასოციაციის გამგეობა;

დ) წევრი - ასოციაციის წევრი;

ე) სხვა დამსწრე პირი - ასოციაციის თანამშრომელი, რომელიც არ არის წევრი და რომლის საერთო კრებაზე დასწრება აუცილებელია საერთო კრების ელექტრონულად ჩატარების უზრუნველსაყოფად;

ვ) პროგრამა - ელექტრონული პლატფორმა zoom;

ზ) ხმის მიცემის პროგრამა - ელექტრონული პლატფორმა electionrunner.com;

თ) ადმინისტრატორი - სხვა დამსწრე პირი, რომელიც უზრუნველყოფს საერთო კრების პროგრამის მეშვეობით ჩატარების ტექნიკურად გამართულ მუშაობას.

მუხლი 3. წევრთა რეგისტრაცია და კვორუმი

1. საერთო კრების ელექტრონული მოსაწვევი იგზავნება წევრის ელექტრონულ ფოსტაზე, რომელიც მას განსაზღვრული/მითითებული აქვს ასოციაციასთან კონტაქტისთვის.
2. საერთო კრების მოსაწვევზე დასტურის გაცხადებისა და მოსაწვევში მითითებული პროგრამის ელექტრონულ ბმულზე გადასვლის შემდეგ წევრი მიიჩნევა რეგისტრირებულად. თუ წევრი საერთო კრებაში მონაწილეობს ფიზიკურ სივრცეში, მისი რეგისტრაცია ხორციელდება საერთო კრების ჩატარების ადგილას და დასტურდება სარეგისტრაციო ფურცელზე მისი სახელისა და გვარის გასწვრივ ხელმოწერით.
3. პროგრამის მეშვეობით შემოსულ წევრს, რომელსაც გამორთული აქვს ვიდეოკამერა, არ აქვს მითითებული საკუთარი სახელი ან სხვაგვარად შეუძლებელია მისი იდენტიფიცირება, ეთხოვება ჩართოს ვიდეოკამერა და დაადასტუროს თავისი ვინაობა. იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს იდენტიფიცირების პროცესზე, ან მოთხოვნას არ გამოეხმაურება, თავმჯდომარეს შეუძლია, გამოიყენოს ამ დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესრიგის დაცვის ღონისძიება.

4. საერთო კრებაზე კვორუმი დაითვლება კრების გახსნის დროისთვის ფიზიკურ სივრცეში რეგისტრირებული და ელექტრონულ პროგრამაში ჩართული წევრების ჯამით.

მუხლი 4. საერთო კრების ჩატარების ადგილი და ელექტრონული პლატფორმა

1. საერთო კრება ტარდება ჰიბრიდულ რეჟიმში. ფიზიკურ სივრცეში საერთო კრების გამართვის ადგილია სასტუმრო ,,ქორთიარდ მარიოტი", ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #4, ხოლო იმ წევრებს, რომლებიც ფიზიკურ სივრცეში ვერ ესწრებიან საერთო კრებას, მონაწილეობა შეუძლიათ ელექტრონულად, პროგრამის მეშვეობით.

2. საერთო კრებაზე დასწრების უფლება აქვს მხოლოდ ამ დებულების შესაბამისად რეგისტრირებულ წევრს და სხვა დამსწრე პირს. ამ პუნქტში დასახელებული პირების გარდა, სხვა პირები საერთო კრებაზე არ დაიშვებიან.

3. საერთო კრებაზე სიტყვით გამოსვლის უფლება აქვს მხოლოდ წევრს. ამის შესახებ წევრმა თავმჯდომარეს ხელის აწევით, ხოლო ელექტრონულ პროგრამაში ჩართულმა წევრებმა პროგრამის სპეციალური ფუნქციების - ხელის აწევის (rise hand) ან მიმოწერის მეშვეობით უნდა აცნობონ. მიღებული შეტყობინებების მიხედვით, თავმჯდომარე განსაზღვრავს სიტყვით გამომსვლელთა რიგითობას, ხოლო ელექტრონული პროგრამის მიმოწერაში დაფიქსირებულ შეკითხვებს გაახმოვანებს თავმჯდომარე ან/და დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალი.

4. ელექტრონულ პროგრამაში ჩართული წევრი ვალდებულია, მიკროფონი ჰქონდეს გამორთული და ჩართოს მხოლოდ ამ დებულებით დადგენილი წესით და შემთხვევებში. წევრს უფლება აქვს, ხოლო ამავე დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში - ვალდებულია, საერთო კრების განმავლობაში ჩართული ჰქონდეს ვიდეოკამერა. წევრს არ აქვს უფლება, ამ მუხლის მე-3 პუნქტის წესის დაუცველად გამოვიდეს სიტყვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავმჯდომარეს შეუძლია, გამოიყენოს ამ დებულებით გათვალისწინებული წესრიგის დაცვის ღონისძიება.

5. ელექტრონულ პროგრამაში ჩართული წევრი ვალდებულია, გამორთული ჰქონდეს პროგრამის მიკროფონი და ჩართოს მხოლოდ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის დაცვით, სიტყვით გამოსვლის დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავმჯდომარეს უფლება აქვს, გამოიყენოს ამ დებულებით გათვალისწინებული წესრიგის დაცვის ღონისძიება.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესი გამოიყენება გამგეობის წევრობის კანდიდატთა დასახელების დროსაც.

7. გამგეობის წევრობის კანდიდატებისგან, არჩევის შემთხვევაში, გამგეობის წევრად დანიშვნაზე თანხმობის მისაღებად თავმჯდომარე მიმართავს მათ დასახელებული თანმიმდევრობით და ისმენს თითოეულის თანხმობას/უარს. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი საერთო კრებაში ელექტრონული პროგრამის მეშვეობით მონაწილეობს, მისი თანხმობა/უარი უნდა დაფიქსირდეს ჩართული მიკროფონით და ვიდეოკამერით.

8. გამგეობის წევრობის კანდიდატები სიტყვით გამოდიან მხოლოდ თავმჯდომარის მიერ მათი სახელისა და გვარის წარმოთქმის შემდეგ, დასახელებული თანმიმდევრობით.

მუხლი 5. ხმის მიცემის წესი

1. საერთო კრებაზე ხმის მიცემა ხდება ფიზიკურ სივრცეში ხელის/მანდატის აწევით, ელექტრონულად - პროგრამაში ხელის აწევის ფუნქციის მეშვეობით, ხოლო ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ხმის მიცემის პროგრამის საშუალებით.

2. ხმის მიცემის დროს კენჭისყრაში მონაწილე წევრთა რაოდენობა ითვლება ფიზიკურ სივრცეში რეგისტრირებული, ასევე, საერთო კრებაზე პროგრამაში დამსწრე წევრების საერთო ოდენობით.

3. გამგეობის წევრობის კანდიდატების კენჭისყრის ელექტრონულ ბიულეტენს ადმინისტრატორი, ხმის მიცემის პროგრამის მეშვეობით, ელექტრონულ ფოსტაზე უგზავნის საერთო კრებაზე რეგისტრაციაგავლილ ყველა წევრს (როგორც ფიზიკურ სივრცეში გამოცხადებულ, ისე ელექტრონულ პროგრამაში ჩართულ წევრებს). ბიულეტენში მოცემულია შეკითხვა გამგეობის წევრობის კანდიდატების მხარდაჭერასთან დაკავშირებით, ხოლო პასუხებში წარმოდგენილია კანდიდატთა ვინაობა. ჩამოთვლილი კანდიდატებიდან წევრს მაქსიმუმ შვიდი მათგანის არჩევა შეუძლია. ხმის მიცემის პროგრამა არ გაგზავნის ბიულეტენს შვიდზე მეტი მონიშნული ან საერთოდ მოუნიშნავი პასუხით. წევრმა ბიულეტენზე პასუხები უნდა მონიშნოს და გამოგზავნოს ადმინისტრატორთან, გაგზავნის ღილაკზე ხელის დაჭერით. პასუხი უნდა გაიგზავნოს ბიულეტენის მიღებიდან 40 წუთის განმავლობაში. ხმის დამთვლელი კომისია დანიშნავს ამ დროს, რომლის გასვლის შემდეგაც ხმის მიცემის პროცესი შეწყდება და პროგრამა პასუხის გამოგზავნას აღარ დაუშვებს. ხმის მიცემის პროცესი ფარულია. ადმინისტრატორს და ხმის დამთვლელ კომისიას წვდომა აქვთ მხოლოდ ხმის მიცემის საბოლოო რაოდენობრივ და პროცენტულ შედეგებთან.

4. ხმის დამთვლელი კომისია მონაცემებს ითვლის პროგრამის/ხმის მიცემის პროგრამის მეშვეობით და რაოდენობრივ მონაცემებს ადარებს პროცენტულ მონაცემთან. ხმის დათვლის შემდეგ კომისია აცხადებს კენჭისყრის შედეგს, რომელიც აისახება საერთო კრების სხდომის ოქმში.

მუხლი 6. წესრიგის დაცვა საერთო კრებაზე

1. ამ დებულებით დადგენილი პროცედურების დარღვევის შემთხვევაში, თავმჯდომარეს უფლება აქვს, არ დაუშვას სხვა პირი საერთო კრებაზე, ან დაატოვებინოს მას საერთო კრება. ელექტრონულ პროგრამაში ამ გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს საერთო კრების ადმინისტრატორი.

მუხლი 7. საერთო კრების ჩაწერა და ოქმის შედგენა

1. ასოციაცია უზრუნველყოფს საერთო კრების აუდიოჩაწერას. თავმჯდომარე ჩაწერის დაწყებისას გააკეთებს განცხადებას ამის შესახებ. ჩანაწერი გამოიყენება საერთო კრების ოქმის წარმოების და კრების გადაწყვეტილებების გასაჩივრების შემთხვევაში სამართალწარმოების მიზნებისთვის. ასოციაცია ჩანაწერს ინახავს ერთი წლის განმავლობაში.

2. საერთო კრების მიმდინარეობისა და მისი გადაწყვეტილებების, ასევე, კენჭისყრის შედეგების შესახებ ინფორმაცია აისახება საერთო კრების ოქმში, რომელსაც აწარმოებს სხდომის მდივანი. სხდომის ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.